20/09/2024

MES 1 24 0001174827

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 06/09/2024

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით2024 წლის 06 სექტემბერს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია**- შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;

1. **ზურაბ ორჯონიკიძე**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

1. **დავით ლეშკაშელი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

1. **მამუკა ხუსკივაძე**- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

1. **მიხეილ გურგენიძე**- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;

1. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;

1. **სერგო ჭელიძე**- შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;

1. **ქრისტინა რზგოევა**- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

1. **გაიანე სიმონია**- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

1. **კონსტანტინე სირბილაძე**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

1. **ნინო ჩინჩალაძე**- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

1. **ივანე ჯაგოდნიშვილი**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

1. **ემილ ავდალიანი**- შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

1. **სალომე კუჭუხიძე**- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;

1. **თამარ იოსელიანი**- შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. **კახაბერ ჩიხრაძე** -შპს "ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის" სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;

1. **მაია ბიწკინაშვილი** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

1. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;

1. **ნინო გაგუა** -შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი;

1. **კახაბერ ვანიშვილი** -შპს "მედ-დიაგნოსტიკის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი;

1. **ზვიად კირტავა** -შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;

1. **ლევან რატიანი** -სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიისდეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი;

1. **ივანე ჩხაიძე** -კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

1. **ხათუნდა ზალდასტანიშვილი**- სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

1. **დავით კობეშავიძე**- შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;

1. **ნათია სხვიტარიძე**- სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. **შალვა კირთაძე** - რექტორი

1. **თეა კორძაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. **სერგო სვანაძე** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. **ეკა გაჩეჩილაძე** - რექტორის მოადგილე

1. **კახა კუპატაძე** - ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

1. **დავით გეგეჭკორი** - საგარეო ურთიერთობათა და განვითრების სამსახურის უფროსი

1. **ნატო წულეისკირი** - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

1. **თეა ვალიშვილი** - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური

1. **თამთა კობახიძე** - კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი

1. **დავით ყიფიანი** - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მოწვეული სპეციალისტი

1. **ირინე ფხაკაძე** - ინგლისურენოვანი MD პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია:

1. **გიორგი ვაჩნაძე** - რექტორი

1. **ნინო კასრაძე** - პრორექტორი

1. **თამარ ჩხეიძე** - რექტორის მრჩეველი ხარისხის და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით

1. **გიორგი ზაქარაია** - ადმინისტრაციის უფროსი

1. **ნინო ბაქრაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. **ლიანა ხორბალაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

1. **თეონა ბუაძე** - სამხატვრო ფაკულტეტის დეკანი

1. **ოთარ კაპანაძე** - მუსიკისა და კომპოზიციის ფაკულტეტის დეკანი

1. **რუსუდან თაბაგარი** - სასწავლო ოფისის უფროსი

1. **მაია ტაბლიაშვილი** - მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტის უფროსი

1. **მაია მეტრეველი** - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

1. **მაია სიგუა** - სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი

1. **რუსუდან თაყაიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოწვეული სპეციალისტი

1. **ქეთევან ბაქრაძე** - გამომცემლობის ხელმძღვანელი

1. **თეა ტიგინაშვილი** - ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

1. **ლიკა ქართლელიშვილი** - შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

I საკითხზე:

1. ვაიდოთას ვილიუნას (Vaidotas Viliūnas)

1. მიტრა ამინი (Mitra Amini)

1. ეკატერინე ბაკარაძე

1. ეკატერინე ფიფია

1. ოლეგ ქვლივიძე

1. ავთანდილ თავხელიძე

1. ეკა გეგეშიძე

1. შოთა სილაგაძე

I I საკითხზე:

1. მარიამ ღამბაშიძე

1. თეონა კახიძე

1. ჯოვანა აბლოთია

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომისდაწყებისდრო: 14:20 საათი

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება;
კი

აცილება განაცხადა კონსტანტინე სირბილაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი დღევანდელ საბჭოს სხდომაზე იყო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისავტორიზაცია, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ იყო შედგენილი თავდაპირველი ანგარიში, რომელიც გაეგზავნა ცენტრს და დაწესებულებას, რომლის საპასუხოდ მიღებულ იქნა არგუმენტირებული პოზიცია სხვადასხვა შენიშვნებით და ამის გათვალისწინებით, შედგა საბოლოო ანგარიში. დაწესებულების არგუმენტების გათვალისწინებით მოხდა ცვლილებები ანგარიშში და შეიცვალა სამი რეკომენდაცია, ხოლო დანარჩენი არგუმენტები ექსპერტებმა მიიჩნიეს მნიშვნელოვნად და ცვლილება არ შესულა, ასევე რამდენიმე არგუმენტის შეცვლა მოხდა ადგილზე ვიზიტის შემდეგ, რადგან შეფასება ცოცხალი პროცესია და ადგილზე ვიზიტით გამოიკვეთა სხვა მოცემულობები, რამაც გამოიწვია ცვლილებები ექსპერტების შეფასებაში, შესაბამისად ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ექსპერტთა დასკვნა, რომელიც წარმოდგენილია საბჭოზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების რექტორი, შალვა კირთაძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციების უმეტესობას, ხოლო, რამდენიმე მათგანზე დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია, კერძოდ, 2.1.1 ,,საერთაშორისო პროექტების რაოდენობისა და აკადემიური ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლის შესაძლებლობის გაზრდა'' აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდნენ და სასურველი იქნებოდა იგი რჩევების ნაწილში გადასულიყო. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი რეგიონული და საქართველოში მესამე უნივერსიტეტია, რომელიც გახდა ევროკომისიის პროექტის კოორდინატორი. ამჟამად უნივერსიტეტი, ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით ახორციელებს თორმეტ პროექტს და გაცვლითი პროგრამის ეგიდით გაფორმებული აქვს ,,Erasmus+'' ხელშეკრულება ევროპის ოცდაათ წამყვან უნივერსიტეტთან, გარდა ამისა, აღნიშნა, რომ სტუდენტები სისტემატიურად იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა პარტნიორი ქვეყნის მიერ გამოცხადებულ საგრანტო

პროექტში, გამომდინარე აქედან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო პროექტების რაოდენობა საკმარისად დიდია, თუმცა ეს არ აძლევს უფლებას დაწესებულებას, რომ ამ კუთხით მუშაობა არ გააგრძელოს. ასევე აღნიშნა, რომ მათი სურვილია შეინარჩუნონ ლიდერის პოზიცია საქართველოს რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის. მეორე საკითხი ეხება, რეკომენდაცია 2.2.1. ,,უნივერსიტეტის მასშტაბით გამოკითხვის მეთოდოლოგიის დახვეწა, უფრო სანდო და ქმედითი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად'' დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციას, რადგან, აცნობიერებს საიმედო და ქმედითი უკუკავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. ასევე, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს გამოკითხვის მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, თუმცა საუნივერსიტეტო გამოკითხვაში სტუდენტების მონაწილეობის მაჩვენებელი კვლავაც გამოწვევად რჩება, დაწესებულება გააგრძელებს მუშაობას, მეთოდოლოგიის დახვეწასა და სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერების კუთხით. რეკომენდაცია 2.3.1. ,,თარგმნეთ და ატვირთეთ, ეთიკის კოდექსის და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის ინგლისური ვერსიები უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა გამარტივდეს მათი ხელმისაწვდომობა მათთვის ვინც ვერ საუბრობს ქართულად'' გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული აქვს უნივერსიტეტს და არგუმენტირებული დასკვნის პასუხის ფორმირების პროცესში, დაწესებულებაში მოქმედი ეთიკის კოდექსის ინგლისურენოვანი ვერსია განთავსდა უნივერსიტეტის საიტზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. რაც შეეხება, მეოთხე სტანდარტთან გაცემულ 4.1.1.რეკომენდაციას ,,მოხსენიებული ანალიზის ან კვლევის არ არსებობის გათვალისწინებით უნივერსიტეტს ეძლევა რეკომენდაცია გააძლიეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესის ეფექტურობა და გამჭირვალობა ინდივიდუალურ დონეზე'' უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომდგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დამტკიცდა აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე და პერსონალის შეფასების წესი, ასევე აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტმა პირველად შეაფასა 2019 წელს, ატესტაციის ჩატარების გზით და ისინი ექვსი წლის ვადით შეარჩიეს. რაც შეეხება დამხმარე პერსონალს, მათ აფასებს შესაბამისი სტრუქტურის ხელმძღვანელი და ყოველი წლის ბოლოს სტრუქტურის საქმიანობის ანალიზს წარუდგენს დაწესებულების რექტორს, პერსონალის კმაყოფილების კვლევას შესაბამისი კითხვარით უზრუნველყოფს, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, განაცხადა რექტორმა. რეკომენდაცია 4.1.2. ,,უნივერსიტეტს ეძლევა რეკომენდაცია იმუშაოს უფრო კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე, პროგრამებში მეტი ახალგაზრდა, აფილირებული აკადემიური პერსონალის მოსაზიდად.'' უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, ამასთანავე აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე წლის ივლისის თვეში ჩატარდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად და აღნიშნა, რომ 82 ადამიანმა დაიკავა შესაბამისი პოზიციები. აქედან 15 არის ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი. ასევე, აღნიშნა, რომ მაღალი რეიტინგის მქონე დოქტორანტებს 40 %-ით უფინანსებს დაწესებულება დოქტორანტურაში სწავლის საფასურს და ხელს უწყობს მათ სამეცნიერო აქტივობას. რეკომენდაცია 4.1.3. ,,აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობამ საკმარისად კარგად იცის ინგლისური, ინგლისურენოვანი პროგრამის ჩასატარებლად, თუმცა საჭიროა რომ ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების გადამზადება''. გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რექტორმა აღნიშნა, რომ მედიცინის მიმართულებით პროგრამები ხორციელდება, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე და ემსახურება შესაბამისი ენის კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი. ავტორიზაციის ვიზიტისას ამ პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, ასევე მან აღნიშნა, რომ ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, ქართულ და ინგლისურ ენოვან პროგრამებზე განსხვავებული კრიტერიუმებია. ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიურ თანამდებობაზე პირის შერჩევა განსაზღვრულია

უნივერსიტეტის საბჭოს მიმდინარე წლის 29 თებერვლის დადგენილებით, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურებას, სერტიფიკატის წარმოდგენას, ლექციის საჯაროდ წაკითხვას ინგლისურ ენაზე, კონფერენციებში მომხსენებლად მონაწილეობას და ა.შ. ამავე დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია შესაბამისობა უცხოენოვან საგანმანთლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის. ამასთანავე უნივერსიტეტში ბოლო ათი წლის განმავლობაში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსები ჩატარდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ძირითადად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან მოწვეული დარგის სპეციალისტების მეშვეობით. რექტორის თქმით, ზოგადად უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისათვის, რისი დადასტურებაცაა უნივერსიტეტისა და ენების შემსწავლელი ცენტრის ჩართულობით აკადემიური პერსონალის გადამზადება მათი ენობრივი კომპონენტის ამაღლების მიზნით აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ხუთმა ათეულმა უნივერსიტეტის თანამშრომელმა მიიღო მომსახურება, რომელსაც აფინანსებს უნივერსიტეტი და შესაბამისი სერტიფიკატით დაადასტურა თავისი კომპეტენცია. რეკომენდაცია 4.2.1. ,,უნივერსიტეტის მიღმა აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის მონიტორინგისთვის რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენება შინა მონიტორინგის მექანიზმებთან ერთად'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის N90 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესი და პირობების შესახებ, განსაზღვრავს სისტემაში ინფორმაციის შეტანის პასუხიმგებელი სუბიექტის, შეტანილი ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელებასა და სისტემიდან ინფორმაციის დამუშავების წესებს. აღნიშნული წესის მეექვსე მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის ასახვა შესაბამის ვადაში წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობას, საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით სავალდებულო მონაცემებში არის პერსონალს დატვირთვის ასახვა, თითოეული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამის ვადებში სრულყოფილად ასახლოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვირეული დატვირთვა, რის საფუძველზეც აქვს ხედვა, არის თუ არა მისი პერსონალი სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში დასაქმებული და აჭარბებს თუ არა კვირეულს 40 საათს, ყოველ სემესტრულად ხდება დატვირთვების გადამოწმება და დარღვევის შეთხვევაში მიიღება ზომები, აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა. მეხუთე სტანდარტის, 5.1.2 რეკომენდაცია ,,ყველა უცხოელი სტუდენტისათვის ელექტრონულ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა'' შალვა კირთაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმება, რადგან დაწესებულებაში უცხოელი სტუდენტებისთვის შექმნილია სპეციალური პორტალი, რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლია მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც საქართველოში ჩამოსვლამდე ისე საქართველოში სწავლის პერიოდში. 5.1.3 რეკომენდაცია, ,,გაზარდეთ სტუდენტების, განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების ინფორმირებულობა ეთიკის კოდექსის შესახებ და გახადეთ ხელმისაწვდომი იგი ქართულ და ინგლისურ ენებზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე'' დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უკვე ხელმისაწვდომია ეთიკის კოდექსი, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე, რაც შეეხება სტუდენტების ინფორმირებულობას ეთიკის კოდექსის შესახებ, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები, როგორც რექტორი, ასევე ყველა სამსახური უფროსი, ყოველწლიურ შეხვედრებს მართავენ სტუდენტებთან და მაქსიმალურად ხდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებულ სერვისებთან დაკავშირებით. რეკომენდაცია 5.2.2 ,,გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობის გარდა მედიცინის პროგრამის სტუდენტებისათვის როგორც ქართველი ასევე უცხოელი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტს სტუდენტებისა'' დაკავშირებით შალვა

კირთაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამის ეგიდით გაფორმებული აქვს ევროპის 30 უნივერსიტეტთან, 2018 წლამდე მოქმედი რეგულაციებით მიხედვით უცხოელ სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა ,,ERASMUS+'' გაცვლით პროგრამებში და პანდემიური პირობებში ეს პროცესი შეჩერებული იყო, რაც შეეხება დაწესებულების უცხოელი სტუდენტების გაცვლითი პროგრამებში მონაწილოებას, მაგალითად რუმინეთის სახელმწიფოსთან არსებული ხელშეკრულების მიხედვით სამწუხაროდ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე არ იღებს სტუდენტებს ინდოეთიდან. ამჟამად, დაწესებულება მუშაობს ორმხრივ ხელშეკრულებაზე გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, აზიისა და აშშ-ს რამდენიმე უნივერსიტეტთან, ასევე ნიუჯერსის უნივერსიტეტთან უკვე დასრულების პროცესში და ალბათ ძალიან მალე გაფორმდება ეს ხელშეკრულება, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ამ მხრივ არსებობს გარკვეული გამოწვევები უცხოელი სტუდენტების სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებით. სტანდარტი 7.3.1. ,,უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს ყელა საჭირო ინგლისურენოვანი ყველა საჭირო საინფორმაციო სერვისები არა ქართულენოვანი სტუდენტებისა და პერსონალისათვის'' როგორც უკვე აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, მათ შექმნილი აქვთ პორტალი და შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს ისარგებლონ აღნიშნულით. ამ ეტაპისათვის, ის სერვისები რაც მოქმედებს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში, ასევე ინგლისურენოვან სტუდენტებისათვისაც მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. რაც შეეხება 7.4.1. რეკომენდაციას ,,უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს აუდიტი სამივე მიმართულებით ფინანსური ეფექტურობა და შესაბამისობა, აუდიტორს უნდა ჰქონდეს მოქმედი შესაბამისი სერტიფიკატი'' აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ყოველ წელს ამოწმებს აუდიტის სამსახური, ასევე აღნიშნა, რომ 2023 წელს უნივერსიტეტს რვა თვის მანძილზე ამოწმებდა აუდიტის სამსახური და მხოლოდ ერთი მიგნება დაიწერა და დანარჩენი შესაბამისობაში იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა სერგო სვანაძემ 7.1.1. ,,უნივერსიტეტმა უნდა გაარემონტოს რამდენიმე შენობა და შეცვალოს მერხები ზოგიერთ აუდიტორიაში'' რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენდა ყოფილი სამი უმაღლესი სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს, იგი ფუნქციონირებს და მოიცავს 23 კორპუსს საიდანაც 16 სასწავლო კორპუსია და რომელთა მდგომარეობა შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. ამასთან, განაცხადა მან, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ბიუჯეტით, შესაბამის მუხლებში ითვალისწინებ ხარჯებს რემონტისა და ინვენტარის განახლებისათვის, მაგალითად 2024 წლის ბიუჯეტის, არა ფინანსურ აქტივებში გათვალისიწინებული იყო ოთხი მილიონ სამასი ათას ლარზე მეტი, მათ შორის შენობა-ნაგებობების რემონტისათვის მილიონ ცხრაასი ათასი ლარი, ხოლო ინვენტარზე და მოწყობილობაზე მილიონ ცხრაას ოცდაათი ათასი ლარი, მარტო მიმდინარე წელს გარემონტდა და კიდევ მიმდინარეობს სარემონტო პროცესი, ოთხმოცზე მეტ აუდიტორიაში, ასევე შეძენილია ახალი ინვენტარი და ავეჯი, მათ შორის განახლებისათვის შეძენილია ათას ასი ცალი ინდივიდუალური სკამი და ზოგადად უნივერსიტეტში სასწავლო სივრცეებში ინვენტარი არ არის რომლითაც სასწავლო პროცესის წარმართვა არ შეიძლება და იგი ხელს შეუშლის სტუდენტს შედეგებზე გასვლაში, ამგვარი რამ არც ექსპერტებს დაუფიქსირებიათ, ამდენად, შენობა - ნაგებობისა და ინვენტარის განახლება მუდმივი პროცესია დაწესებულებაში. რაც შეეხება რეკომენდაცია 7.1.2. ,,ზოგიერთ სანიტარულ ადგილს ესაჭიროება ადაპტაცია'' აღნიშნავს დაწესებულება, რომ უნივერსიტეტს ამ კუთხით დაწყებული აქვს მუშაობა, ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის დაინერგა და განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, უნივერსიტეტს ყველა მისამართზე სასწავლო კორპუსების მიხედვით აქვს მინიმუმ ერთი ადაპტირებული სანიტარული კვანძი, დაწესებულებისათვის სპეციალური საჭიროების ადამინებისათვის ინფრასტრუქტურის

შემდგომი განვითარების მიზნით ეტაპობრივად ხორციელდებოდა მუშაობა, მათ შორის საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში დამატებითი სანიტარული კვანძის მოწყობის მიზნით. როგორც რეკომენდაციაში არის აღნიშნული. რეკომენდაცია 7.4.1.-თან დაკავშირებით, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დაწესებულება არ ეთანხმება, რადგან სახელმწიფო ფინანსების გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად 2009 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რომელსაც ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. უნივერსიტეტის, მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმიდან გამოდინარე, ფინანსურ აუდიტს ყოველწლიურად ახორციელეს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტის ფარგლებში. შემოწმების შედეგად არსებული დასკვნა ეგზავნება უნივერსიტეტს, ხოლო შესაბამის რეკომენდაციების გათვალისწინება წარმოებს მონიტორინგის პროგრამის მეშვეობით, განაცხადა დაწესებულების წარმომადგენელმა. ასევე აღნიშნა, რომ სამინისტროს ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, უნივერსიტეტი იქნა შერჩეული და 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით წარმოებდა დაწესებულების აუდიტორული შემოწმება, რომლის საფუძველზე დაწესებულებას მიეცა მხოლოდ ერთი მიგნება, რეკომენდაცია, რომლსაც რა თქმა უნდა ასრულებს დაწესებულება, ამდენად უნივერსიტეტი პერმანენტული გარე აუდიტის განხორციელების რეჟიმშია, როგორც განათლების და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური სამსახურის, ისე ფინანსთა სამინიტროს სახაზინო სამსახურისა და უმაღლესი კონსტიტუციური მაკონტროლებელი ორგანოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ. ამდენად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ გაცემული რეკომენდაცია, ნაცვლად რეკომენდაციისა ასახული უნდა იყოს რჩევებში. რეკომენდაცია 7.4.2. ,,უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს გამჭირვალობა, არსებობს საკმარისი რისკები რესურსების ლეგალური, ეკონომიკური, ზრდადი, ეფექტიანი პროდუქტიული გამოყენების მიმართულებით'' დაწესებულების წარმომადგენელმა დადგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის კონტროლი ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობისა და მისგან გამომდინარე უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, დაწესებულება განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის პროექტს, კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებისა და გადასახადების ნაწილში. ყოველივე ამის შესაბამისად დაცულია ბიუჯეტის კანონთან შესაბამისობა და რესურსების ლეგალური, ეკონომიური, მდგრადი და ეფექტური და პროდუქტიული გამოყენებით მიიღწევა კანონის მოთხოვნათა შესრულებით. ასევე აღნიშნა, რომ საქონლის შესყიდვაზე კონტროლი წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო შესყიდვები სააგენტო მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს დაწესებულების მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე. ამდენად მიაჩნია დაწესებულებას, რომ რეკომენდაცია გამჭვირვალობასთან დაკავშირებით ერთგვარი რჩევაა პროცესში ჩართულობის კუთხით და ითხოვს, რომ მოხდეს აღნიშნულის გადატანას რჩევების ნაწილში. რეკომენდაცია 4.3.2. ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტი უნდა ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმის მიხედვით იყოს მკაფიოდ და მკაცრად დაკავშირებული'' აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმება ნაწილობრივ, კერძოდ რეკომენდაციის პირველ ნაწილს, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს დაწესებულება მიიჩნევს ზემოთ წარმოდგენილი პოზიციით რომ ასრულებს ყოველივე ზემოხსენებულს, ხოლო მეორე ნაწილს, გაცემული რეკომენდაციისა, რომ ეთანხმება.

საბჭოს თავმჯდომარემ კახაბერ შენგელიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რეკომენდაციები, რომელსაც არ ეთანხმებოდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა შალვა კირთაძემ განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდნენ 2.1.1. რეკომენდაციას, 2.1.2 რეკომენდაციას ეთანხმებოდნენ, 2.3.1. რეკომენდაცია უკვე მათ მიერ შესრულებულად მიჩნდათ, ასევე აღნიშნა, რომ 4.1.1. და 4.1.2. რეკომენდაციებს იზიარებს დაწესებულება. ასევე, განაცხადა, რომ არ იზიარებს დაწესებულება 7.4.1., 7.1.1., 7.1.2. და 7.4.2. რეკომენდაციებს, ხოლო 7.4.3. რეკომენდაციას იზიარებს ნაწილობრივ. რაც შეეხება 7.3.1.

რეკომენდაცია ,,უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს ყველა საჭირო ინგლისურენოვანი სერვისები, არაქართულენოვან სტუდენტებისა და პერსონალისათვის'' დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ყველა ის სერვისი რაც დაწესებულებას ჰქონდა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, უკვე მომზადებული იყო სერვისცენტრებში, რომელიც ყველა კორპუსშია განთავსებული, შესაბამისად ყოველივე ის რაც ხელმისაწვდომია ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ასევე ხელმისაწვდომია ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ განხორციელებულია შესაბამისი სამუშაოები დაწესებულების პერსონალის მიერ, შესაბამისად, მუდმივად იხვეწება და ვითარდება პროცესი.
ექსპერტი ეკა გეგეშიძე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები გააზიარა, ასევე აღნიშნა რომ სადაც კი ყოფილა ექსპერტად, საჯარო უნივერსიტეტში, ერთ-ერთი საუკეთესო მდგომარეობა დახვდა, საუკეთესო თანამშრომლებით დაკომპლექტებული, ასევე აღნიშნა, რომ მეშვიდე სტანდარტი გულისხმობს, რომ აუცილებელია უნდა იყოს ეფექტური სამოქმედო გეგმასთან ბიუჯეტი და შესაბამის აუდიტის დასკვნები, შესაბამისად გამომდინარე აქედან დაიწერა ექსპერტების მიერ რეკომენდაციები. პირველ რიგში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ ყავს აუდიტის სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო სავალდებულო, მაგრამ ამ შემთხვევაში გარე აუდიტია სავალდებულო, ვინაიდან დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამ შემთხვევაში აუცილებელია აუდიტი ჩაატაროს კონკრეტულმა სპეციალისტმა. ბიუჯეტი წარმოდგენილია, ისინი მაღალ დონეზე აკეთებენ შესყიდვებს, განაცხადა მან, თუმცაღა მათი ბიუჯეტი არის სახელმწიფო ბიუჯეტი. მათ დაწყებული აქვთ მუშაობა სამოქმედო გეგმასა და ინდიკატორებთან მიმართებაში, გააკეთონ მომავალში ამისი დაგეგმვა შეფასებები. ასევე, აღნიშნა რომ 2023 წლის ფინანსური აუდიტი, ინდივიდუალურად, როგორც დაწესებულებას, არ აქვს გაკეთებული. ჰარმონიზაციის ცენტრის რეფორმის ფარგლებში კონსოლიდირებული ფინასური ანგარიშგებას ამოწმებს, როგორ გააკეთებს განათლების სამინისტრო და ამ მიზნით რამდენიმე სსიპ-ი არის შერჩეული, მხოლოდ ფინანსების მიხედვით შესაბამისად, ამ ფარგლებში მოხდა დაწესებულების შემოწმება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი დასკვნაში არ მიუთითებენ, რომ ფინანსები არასაკმარისი აქვს დაწესებულებას ან საერთოდ არ აქვს, პირიქით დანაზოგებიც საკმარისად აქვს. თუმცა დასკვნაში აღნიშნულია, რომ გამჭირვალობის და აუდიტის დასკვნასთან მიმართებაში ის დოკუმენტები, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი და რაც ევალება ექვივალენტურად დაწესებულებას, ისინი არ არის წარმოდგენილი. ასევე, კიდევე ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ ყველა სხვა საჯარო უნივერსიტეტთან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებულია, ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით არ არის რაიმე დაბრკოლება. ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დამოუკიდებლად არ შეუმოწმებია უნივერსიტეტი, ხაზინასთან მიმართებაში ისინი მუდმივად აგზავნიან სწორად შევსებულ საბიუჯეტო ფორმებს, როგორც მათ ევალებათ, ამ კუთხით არ აქვს ექსპერტებს რაიმე პრეტენზია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ ზვიად კირტავას კითხვა ჰქონდა დაწესებულების მიმართ, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა ის რეკომენდაციები, რომელთაც არ ეთანხმებიან, თუმცა 4.1.3. რეკომენდაციასთან მიმართებით, საბჭოს წევრმა ითხოვა პოზიციის დაზუსტება, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას."
დაწესებულების წარმომადგენელმა შალვა კირთაძემ აღნიშნა, რომ მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა დაწესებულებაში იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა, ხოლო მისი აკადემიური პერსონალი გამორჩეული საქართველოს მასშტაბით და არამარტო. და ეს დასტურდებოდა იმ აკრედიტაციის პროცესით, რომელიც ამ პროგრამამ რამდენიმე ხნის წინ გაიარა, აღნიშნა, რომ პროგრამაზე ინგლისური ენის სწავლების დონე,

მაღალია. როგორც აღნიშნა, დაახლოებით 50-ზე მეტ თანამშრომელს ყოველწლიურად ამზადებდა უნივერსიტეტი თავისი ფინანსებით, რათა მათი კომპეტენცია გაზრდილიყო, ხოლო თავად პროგრამასთან დაკავშირებით იგი პრობლემას ვერ ხედავდა, რადგან მისი განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი კომპეტენტური იყო, ასევე აღნიშნა, რომ სხვა პროგრამებზე ეს საკითხი გამოწვევა იყო და სწორედ ამიტომ ხდებოდა ყოველწლიურად გადამზადება აკადემიურ პერსონალისა. საბჭოს წევრმა ზვიად კირტავამ განმარტა, რომ რეკომენდაცია არ ეხებოდა მხოლოდ ინგლისურენოვან პროგრამას, შესაბამისად დაწესებულების პოზიცია მკაფიოდ უნდა ჩანდეს, ეთანხმებიან თუ არა აღნიშნულ რეკომენდაციას. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმებოდნენ. ასევე, საბჭოს წევრს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა დაწესებულების მიმართ. მისი თქმით, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისშივე მკაფიოდ გამოხატა, რომ რიგ რეკომენდაციებში ასახული კითხვების სტატუსი, დაწესებულების მეირ უკვე ჩატარებული ვიზიტის შემდეგ შეიცვალა. მაგალითად 7.3.1.- თან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ უკვე ეს შეასრულეს, შესაბამისად ამ მხრივ განსხვავებაა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობდა, რომ მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა ისინი ისევ აფიქსირებენ როგორც რეკომენდაციას. დაწესებულება კი მიიჩნევს, რომ რადგან ცვლილებები იქნას შეტანილი და გამოსწორდა მდგომარეობა, მითითებული არ უნდა იყოს, როგორც რეკომენდაცია. ასევე დაამატა, რომ აბსოლუტურად სწორად აქვს აღქმული საბჭოს წევრს დაწესებულების პოზიცია 7.3.1. რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ყველა ის სერვისი, რაც გააჩნია უნივერსიტეტს ქართულენოვან სტუდენტებისათვის, დღევანდელი მდგომარეობით, ახალი სასწავლო წლისათვის, იგივე სერვისები იქნება ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის, შესაბამისად, ყველა ეს მომსახურება იქნება მედიცინის კორპუსში, ასევე მთელს უნივერსიტეტში, რადგან არის ერთიანი სისტემა.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ მან მოისმინა დაწესებულების მოსაზრება და ექსპერტების მიმართ ჰქონდა შეკითხვა, მან აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე ვინც ასწავლის იმ პედაგოგების მიმართ, დარგობრივი დოკუმენტში ცალსახად იყო კრიტერიუმები თუ რას უნდა ფლობდნენ, რაც არ მოეთხოვებათ ქართულ ენაზე განხორციელებულ პროგრამაში ჩართულ პედაგოგებს., ამიტომ მას აინტერესებდა, რომ არ მომხდარიყო აღრევა, ხომ არ მოხდა ისე, რომ ორივე პედაგოგების გამოკითხვა მოხდა ერთიანად. რადგან, ქართულ ენაზე რომელი პედაგოგიც ასწავლის მის მიმართ არ არის მკაცრი მოთხოვნა ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობისა. მისი თქმით, არ აქვს მნიშვნელობა დაწესებულება ეთანხმება თუ არა, ამ შემთხვევაში მთავარია, არ დაირღვევს არსებული მოთხოვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა შალვა კირთაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრმა სწორად შენიშნა, რომ ორივე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა მოხდა ერთიანად და შესაძლებელია სწორედ ამიტომაც მოხდა ეს გაუგებრობა. პროგრამის ხელმძღვანელმა ირინე ფხაკაძემ დაამატა, რომ დაწესებულება მედიცინის პროგრამას 2012 წლიდან ახორციელებს და როდესაც ხორციელდებოდა პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების ცვლილება და დარგობრივი სტანდარტის განახლება ეტაპობრივად ყოველთვის დაწესებულება ცდილობდა და ახერხებდა დაეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნა. შესაბამისად, ბოლო მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრული იქნა ბოლო რედაქციის ვერსიით, შესაბამისი ანგარიშით, დამადასტურებელი მტკიცებულებებით, ყოველთვის იქნა ცენტრისთვის გაზიარებული. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციას, არჩევნების ჩატარების წესი აკადემიური პერსონალისა, ყოველთვის ითვალისწინებდა იმ მოთხოვნებს რაც განსაზღვრული იყო დარგობრივ დოკუმენტში, მიაჩნია რომ პანელზეც ინტერვიუების დროს რაიმე გაუთვალისწინებელი სიურპრიზი ამ თვალსაზრისით არ ჰქონიათ და ადასტურებს რომ აკადემიური პერსონალი ერთობლივად იყო შერჩეული ინტერვიუებისთვის. ქართულენოვანი პროგრამის პოზიციიდან აღნიშნა, რომ ალბათ უახლოვდებიან იმ პერიოდს, როდესაც ქართულ ენაზე სამედიცინო განათლება

კითხვებს დაბადებს და რჩევის სახით ნებისმიერი პროგრამის აკადემიურ პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა ნამდვილად იქნებოდა ერთ-ერთ პრიორიტეტული სამოქმედო მიმართულება ნებისმიერი სამედიცინო სკოლისთვის.
საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ განმარტა, რომ ქართულენოვან პროგრამაზე მკაცრი მოთხოვნა არ არის ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ სამომავლოდ შესაძლებელია იყოს მოთხოვნა, მაგრამ არა ამ ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ეთანხმება და დაწესებულება უკვე ფიქრობს იმას, რომ ახალი კონკურსები როდესაც გამოცხადდება, უცხო ენის ცოდნა უკვე აუცილებელ მოთხოვნად იყოს ჩადებული მით უფრო მედიცინის პროგრამაზე.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:15 სთ.
დასრულების დრო: 15:55 სთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისავტორიზაციის საკითხის განხილვა;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრის შედეგი (მოწვეული საბჭო):

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ 212693049) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 12000-ით, მათ შორის:
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) - სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 900-ით;
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ქართულენოვანი) - სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 415-ით;

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 06 სექტემბერს.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით განსაზღვრული რეკომენდაციები 2.1.1, 2.3.1, 5.1.2, 7.1.1, 7.1.2, 7.3.1, 7.4.1 და 7.4.2 გადავიდეს რჩევებში, ხოლო დანარჩენ რეკომენდაციებზე დაწესებულებას განესაზღვროს ანგარიში ერთი წლის თავზე.
საბოლოოდ რეკომენდაციები განისაზღვრა როგორც:

რეკომენდაციები
2.2.1. რეკომენდებულია დაიხვეწოს საუნივერსიტეტო მასშტაბის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო სანდო და ქმედითი უკუკავშირი.
2.2.2. რეკომენდებულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმების განხილვა და შეფასება და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხარისხის გაუმჯობესება .
2.2.3. რეკომენდებულია უსდ-ში სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის ჩართვა, რომელიც სპეციალურად შექმნილია IQA (შიდა ხარისხის უზრუნველყოფის) პროცესებთან დაკავშირებული მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მოხსენებისთვის.
4.1.1. ანალიზებისა და კვლევების არარსებობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინდივიდუალურ დონეზე შეფასების პროცესის ეფექტურობა და გამჭვირვალობა.
4.1.2. უნივერსიტეტისათვის რეკომენდებულია იმუშაოს უფრო კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე პროგრამებში მეტი ახალგაზრდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მოსაზიდად.
4.1.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობამ საკმარისად კარგად იცის ინგლისური, რათა ასწავლონ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე. თუმცა, არსებობს საჭიროება, რომ ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო კარგად ფლობდეს ინგლისურ ენას.
4.2.1. რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და შიდა მონიტორინგის მექანიზმების გამოყენება, რათა განხორციელდეს უნივერსიტეტის გარეთ აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი.
5.1.1. რეკომენდებულია აწსუს ვებ-გვერდზე ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება (სტუდენტის სტატუსის შესახებ წესი, გრანტების მიღება, საფასურის გადახდა და ა.შ.) როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.
5.1.3. რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების, განსაკუთრებით კი უცხოელი სტუდენტების ინფორმირებულობა ეთიკის კოდექსის შესახებ და ხელმისაწვდომი გახდეს (კოდექსი) ქართულ და ინგლისურ ენებზე აწსუს ვებგვერდზე.
5.1.4. რეკომენდებულია დარედაქტირდეს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისათვის შემდგომი განათლების მიწოდების მექანიზმები“ და ამოღებულ იქნეს ვადაგასული მუხლები.
5.2.1. რეკომენდებულია სტუდენტების დასაქმების პორტალისა და ვებგვერდის შესაბამისი ინფორმაციით, ახალი ვაკანსიებით განახლება და სტუდენტებისათვის დასაქმების მეტი შესაძლებლობების მიწოდება.
5.2.2. რეკომენდებულია გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების გაზრდა მედიცინის სტუდენტებისთვის, როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო სტუდენტებისთვის.
5.2.3. რეკომენდებულია აწსუ-მ უნდა წაახალისოს არა მხოლოდ მეტი სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მონაწილეობა გამოკითხვებში, არამედ განახორციელოს სხვადასხვა პროგრამის კურსდამთავრებულთა (მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით) დასაქმების დაბალი მაჩვენებლის ანალიზი და მიიღოს ზომები შეუსაბამობის შესამცირებლად.

5.2.4. რეკომენდებულია შემუშავდეს და განხორციელდეს გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმები და პროცედურა სტუდენტების/კურსდამთავრებულების სამეცნიერო საქმიანობაზე/პროექტებზე გრანტის მინიჭებისთვის.
5.2.5. რეკომენდებულია გაიზარდოს საუნივერსიტეტო სტიპენდიის თანხა სტუდენტური ცხოვრების მხარდასაჭერად და სტუდენტების მოტივაციის ხელშესაწყობად, როგორც ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის.
7.4.3 რეკომენდებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტი ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმის მიხედვით, იყოს მიკვლევადი და დაკავშირებული შესაბამის KPI-ებთან.

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება;
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტი მარიამ ღამბაშიძე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს და აღნიშნა, რომ დაწესებულების შრომა ფასდაუდებელია ქვეყნის განვითარებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ პირველი რაც ყველაზე მეტად თვალნათელი იყო ენთუზიაზმით სავსე პერსონალია, რომლებიც უდაოდ კვალიფიციურნი არიან, ასევე სტუდენტები, რომელთაც უდიდეს პოტენციალი აქვთ და საერთაშორისო მასშტაბითაც ძალიან დიდი შედეგებს აღწევენ, ასევე აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო საუკეთესო პრაქტიკის კუთხით, დეცენტრალიზებული ხასიათია და პრაქტიკა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. დასკვნაში დაფიქსირებული არ არის მესამე და მეექვსე სტანდარტთან მიმართებაში რეკომენდაციები, თუმცა ასახულია რიგი რჩევები და გამოყოფილია საუკეთესო პრაქტიკა, მისი თქმით, კონსერვატორიას აქვს დიდი დარბაზი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მისი საჭიროებისამებრ გამოყენებისა. გარდა ამისა, მიუთითა ტექნიკურ ხარვეზზე, რომელიც ასახულია საბოლოო დასკვნაში. მან აღნიშნა, რომ რექტორი არის ახალი დანიშნული და როგორც მას ასევე სხვა დაწესებულებების წარმომადგენელებს აქვთ ხედვა რომ უნდა განხორციელდეს ცვლილებები სტრატეგიულ გეგმაში, იგეგმება ორგანიზაციული სტრუქტური ცვლილებაც და ბუნებრივი რეკომენდაცია იყო, რომ გარკვეულწილად სტრატეგიული გეგმა

საჭიროებდა განახლებას. გარდა ამისა, ორი რეკომენდაცია, რომელიც უშუალოდ ექსპერტთა თავმჯდომარემ გასცა შემდეგია, რომ ,,შიდა აუდიტის პროგრამა უნდა ჰქონდეს კონსერვატორიას, რომელიც ყოველწლიურად განიხილავს ისეთი აქტივობების ეფექტურობას, როგორიც არის ფონდები მოზიდვა, წლიური ანგარიშები და ბიუჯეტები''. ასევე, ექსპერტთა თავმჯდომარის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული, ის გარემოება რომ კიბერუსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე მსოფლიოში, ერთი რეკომენდაცია იყო გაცემული ამ კუთხით რომ კიბერუსაფრთხოების ტრენინგი ჩატარებულიყო დაწესებულების სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის. მარიამ ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზები საბოლოო დასკვნაში იყო, კერძოდ, რეკომენდაცია- ,,აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტის გასწორება და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა, განახლებული ვერსია მხარს უნდა უჭერდეს აკადემიური თავისუფლების საზოგადოდ აღიარებულ პრინციპებს''ამასთან დაკავშირებით, ხარისხის ცენტრმა რეკომენდაციას მისცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომ უფრო დეტალური ყოფილიყო გაკეთებული აღნიშნული ჩანაწერი. რეკომენდაცია შესწორებული იქნა მათ მიერ თუმცა, საბოლოო დასკვნაში არ არის გასწორებული სახით ასახული. რაც შეეხენა კონკრეტულად აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის საკითხს, მოგეხსენებათ ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში არსებობს ჩანაწერი თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს აკადემიური თავისუფლება, კერძოდ ჩანაწერი ხაზს უსვამს, ლექციების, ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. თუმცაღა, რეკომენდაცია მიემართება სწორედ ამ კომპონენტს, დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს, არა მხოლოდ ცხრილების, სასწავლო კურსების, პროგრამების დამტკიცების საკითხებში აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ,,შედგენა დამტკიცების'' საკითხებში. როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა ამ საკითხზე, აღნიშნა, რომ სიტყვა ,,შედგენა'' სიტყვა გადაცდომაა, კანონთან მიმართებაში და განაცხადეს, რომ ეს სიტყვა უნდა იყოს ამოღებული, რადგან მიაჩნიათ რომ ეს მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებზე. სამწუხაროდ ეს რეკომენდაცია დაფიქსირებულია 2.1. კომპონენტში, ხოლო მათი აზრით 2.3. კომპონენტის რეკომენდაციაა, რადგან აკადემიური თავისუფლების საკითხს სწორედ ეს ქვესტანდარტი განიხილავს. შემდგომი, ასევე ტექნიკური ხარვეზი დაფიქსირებული არის, 2.2. კომპონენტში, კერძოდ დასკვნის შინაარსში 2.2. ნაწილში, რეკომენდაცია გაცემულია, რომ კონსერვატორიამ უნდა დაიმატოს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით კადრი და ასევე სტუდენტური სერვისების მიმართულებით. თუმცაღა, გაუგებარია რატომ მოხდა, შესაძლოა კომუნიკაციის პრობლემა, თუმცა დასაწყისში ჩამოწერილი რეკომენდაციებში არის აღნიშნული, რომ სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი უნდა იქნეს დამატებული. რა თქმა უნდა ექსპერტები ამას არ ითხოვენ, მათ მიაჩნიათ, რომ ხარისხში, ხარისხის მიმართულებით უნდა გაძლიერდეს პერსონალი და სტუდენტურ სერვისებს, სტუდენტური სერვისების მიმართულებით. მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში აღნიშნა, რომ საუბარია ამ შემთხვევაშიც პერსონალის ნაკლებობაზე - საერთაშორის ურთიერთობების, ასევე პიარის სამსახურში, ისევე როგორც ხარისხის სამსახურში და სტუდენტთა სერვისების მიმართულებით, საჭიროა კადრების დამატება. ასევე, აღნიშნა, რომ ,,რეკომენდირებულია შეიქმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია''. მეხუთე სტანდარტში დაფიქსირებულია ორი რეკომენდაცია, კერძოდ ,,რეკომენდირებულია სტუდენტთა მხარდაჭერის ძირითად სამსახურში დაემატოს პერსონალი'' და ეს ფაქტობრივად იმეორებს სხვა დანარჩენ რეკომენდაციებს და მეორე რეკომენდაცია ,, რეკომენდირებულია კონსერვატორიასა და კურსდამთავრებულებს შორის აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა მათ პიროვნულ, პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით'' მოცემულ შემთხვევაშიც ექსპერტმა მიუთითა ტექნიკურ ხარვეზზე, კერძოდ სამწუხაროდ არის ამის დუბლირება რჩევებში, თუმცა ექსპერტი ადასტურებს, რომ ეს არის რეკომენდაცია. რაც შეეხება, მეშვიდე სტანდარტს, აქაც არის რიგი რეკომენდაციები, თუმცა აღნიშნა ექსპერტმა, რომ გაცემული რეკომენდაციები არ არის

სისტემური და გლობალური. მარიამ ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ ზოგადად გამართულია დაწესებულება მეშვიდე სტანდარტთან და სხვა სტანდარტებთანაც მიმართებაში, ,,რეკომენდირებულია რომ კონსერვატორიამ მოძებნოს სხვა ალტერნატიული შემოსავლები ინსტრუმენტების შესყიდვისთვის, რათა უზრუნველყონ სასწავლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება'', რომ განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა ჩასაბერი და დასარტყამი ინსტრუმენტების მიმართულებით, ასევე ,,რეკომენდირებულია რომ კონსერვატორიას ჰქონდეს ექიმის ოთახი, სადაც იმუშავებს გამოცდილი პერსონალი'', და ,,რეკომენდირებულია გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნების პროცესი, ინგლისურ ენაზე სახელმძღვანელოების შეძენა, ასევე ახალი მასალების ქართულ ენაზე შეძენა და გამოცემა'' აქვე დაადასტურა, რომ ერთ-ერთი გამორჩეული ბიბლიოთეკა იყო, მათი პრაქტიკის ფარგლებში, თავისი კვალიფიციური პერსონალით. მეშვიდე მესამე ქვეკომპონენტთან დაკავშირებით, ,,რეკომენდირებულია რომ განახლდეს და გაუმჯობესდეს ვებ-გვერდი, რომ გახდეს უფრო სწრაფი და მარტივი ნავიგაცია ჰქონდეს მას'' და ასევე ,,კონსერვატორიამ უნდა მოამზადოს ყველა იმ დოკუმენტის ინგლისურენოვანი თარგმანი რომელიც დაკავშირებულია სტუდენტებთან და განათავსოს ვებ-გვერდზე''. ექსპერტმა ცენტრს სთხოვა, რომ გათვალისწინებულ იქნას ის ტექნიკური ხარვეზები, რომლიც დაფიქსირდა, რადგან ხელახალი ავტორიზაციის პროცესში ექსპერტებისათვის არ იყოს გაუგებარი და არ წარმოშვას კითხვის ნიშნები. ასევე გამოთქვა მზაობა, არსებობის შემთხვევაში კითხვებზე გაეცა პასუხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნინო ბაქრაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა პანელის მიერ 1.2. ქვესტანდარტში წარმოდგენილია რეკომენდაცია, ამჟამინდელი ლექტორის მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლებისა და ,,კი პი არ-ის'' დამატების თაობაზე. ასევე, კონსერვატორიაში მოქმედებს შვიდწლიანი განვითარების გეგმა, ასევე სამწლიანი სამოქმედო გეგმა, სამწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო მექანიზმის დოკუმენტი, შემუშავებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ერთიანი სტრატეგია 2022-2030 წლის და საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025ზე დაფუძნებით, და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტაცია ნამდვილად წარმოადგენს კონსერვატორიის კულტურის მთავარ სტანდარტს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის გათვალისწინებით. აქვე აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა დამტკიცდა 2023 წლის 10 თებერვალს, კონსერვატორიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტი დამტკიცდა 2024 წლის 21 თებერვალს. მისი თქმით, კონსერვატორიის მოქმედი რექტორი გიორგი ვაჩნაძე არჩეულ იქნა 2024 წლის 12 მარტს. დაწესებულების რექტორი გიორგი ვაჩნაძე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შესრულებული სამუშაოსათვის და რეკომენდაცია-სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ვინაიდან იგი არჩეულ იყო ამა წლის 12 მარტს, ჰქონდა ცოტა დრო იმისათვის, რომ სრულად მოეხდინა ჩახედვა დაწესებულების ყველა ასპექტში, თუმცა დეტალურად გაეცნო სტრატეგიულ გეგმას, როგორც შვიდწლიანს ასევე სამწლიას და ტოპ მენეჯმენტთან ერთად, განიხილა. შესაბამისად, მან ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე, არსებული სტრატეგიული გეგმის შეცვლა არ იქნებოდა მიზანშეწონილი. არგუმენტირებულ პასუხში წარმოდგენილ იქნა დეტალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და მათ სურთ რომ 1.2. რეკომენდაცია გადასულიყო რჩევებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ბაქრაძემ 2.1. ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კიბერუსაფრთხოების საკითხს, აღნიშნა, რომ კონსერვატორიის ელექტრონული სერვისები დაცულია პასუხისმგებელი ორგანიზაციების მიერ. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული

სისტემის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ციფრული მმართველობის სააგენტო, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაზე კი შესაბამისი კომპანია, რაც შეეხება კორპორატიული E-mail-ებს მას იცავს google. ხოლო, დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი კომპანია პროსერვისთან ხელშეკრულების საფუძველზე დაცული მისი უსაფრთხოება. ამ ეტაპამდე მსგავსი საფრთხის წინაშე დაწესებულება არ დამდგარა განაცხადა, მან. რაც შეეხება, ტრენინგებთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნა, რომ დაწესებულების ,,IT'' დეპარტამენტის ხელმძღვანელი სტუდენტების კონსერვატორიაში შემოსვლის დღიდან აქტიურად თანამშრომლობს მათთან, ინდივიდუალურ რეჟიმში, იქნება ეს იმეილით, სატელეფონო, თუ სხვადასხვა საშუალებით ყოველთვის აწვდის საჭირო ინფორმაციას, როგორც სტუდენტებს ასევე პერსონალს, ასევე თხოვნით მიმართა საბჭოს, რომ ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია გადასულ იქნას რჩევებში. ასევე 2.2. ქვესტანდარტთან, რომელიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამრავალფეროვნებას ადამიანური რესურსით, აღნიშნა, რომ დაწესებულებაც ამ მიმართულებით კარგა ხანია მუშაობდა, შესაბამისად გამოთქვა იმედი ადამიანური რესურსებით ხარისხის სამსახური გამრავალფეროვნებისა და აღნიშნა, რომ 2024 წლის პირველ აპრილს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც კონსერვატორიის ერთიან საშტატო განრიგში შევიდა ცვლილება და სამი პოზიცია გათვალისწინებულია ხარისხის სამსახურისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლიკა ხორბალაძემ 2.2.-ის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებთ, ,,რეკომენდირებულია რომ მოწვეული, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების პროცესი იყოს უფრო სისტემატიური და ყოვლისმომცველი'' აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მოქმედებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების რამდენიმე მეთოდი, პირველი ეს არის სტუდენტთა გამოკითხვის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარები, რომლებიც ადრესატებთან იგზავნება შემდეგი განრიგით, სტუდენტებს ყოველი სემესტრის ბოლოს ეგზავნებათ, ხოლო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს წელიწადში ერთხელ, ხოლო პასუხების მიღების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აანალიზებს აღნიშნული გამოკითხვის შედეგებს, შესაბამისი რეაგირებისთვის. გარდა ამისა, კონსერვატორიაში მოქმედებს პროგრამული სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ყოველი სემესტრის დასასრულს, რომელსაც ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ჯამდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. აქვე აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის დასაქმება ხდება ოთხ ან ექვს წელიწადში ერთხელ კონკურსის გზით და შესაბამისად, ესეც არის ერთგვარი მექანიზმი იმისა, რომ შეფასდეს დაწესებულების პერსონალი. რაც შეეხება, პერსონალის სამეცნიერო დატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხს, სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაია სიგუამ აღნიშნა, რომ კონსერვატორიაში მიმდინარეობს არამხოლოდ სამეცნიერო სამუშაოები, არამედ სპეციფიკიდან გამოდინარე სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობის აღწერა, გაანალიზება და დასკვნების დადება. ამ საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პერსონალის სამეცნიერო შემოქმედებითი დატვირთვის შემოწმებისას კონსერვატორია ხელმძღვანელობს თავად დაწესებულების მიერ დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის მუშაობის ნორმებით და რაც შეეხება ყოვლისმომცველობას, თუ კი გადავხედავთ აღნიშნულ დოკუმენტს ვნახავთ რომ მაქსიმალურად ყოვლისმომცველია, რასაკვირველია მუდმივად ხდება მის განახლებაზე მუშობა. მექანიზმთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წლის დასაწყისში პერსონალი გამომდინარე თავიანთი მთლიანი დატვირთვიდან აბარებს სამეცნიერო დეპარტამენტს წლის გამავლობაში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას, ხოლო წლის ბოლოს ისინი გზავნიან ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული აქტივობების შესახებ რომელთაც, დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად, უნდა ახლდეს დამადასტურებელი მტკიცებულება. მაგალითად, ჩატარებული კონცერტის შემთვევაში უნდა წარმოადგინონ კონცერტის აფიშა ან პროგრამა თუ იქნება კონფერენცია და ა.შ. მსგავსი დოკუმენტები შედის სამეცნიერო დეპარტამენტში და აღირიცხება, რომელიც შემდგომ

იგზავნება აკადემიურ საბჭოსთან. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც აკადემიური პერსონალის მიერ ანგარიშები ბარდება დეპარტამენტში, არ არის პირდაპირი კონტაქტი პროფესორსა და დეპარტამენტს შორის, ეს ანგარიშები ხელმოწერილია თითოეული მიმართულების ხელმძღვანელობის მხრიდან რაც ნიშნავს იმას რომ გადამოწმებულია, მიმართულებისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ. 2.3. ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით -,,რეკომენდირებულია, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა კონსერვატორიასა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის, რათა შეიქმნას პოზიტიური გარემო რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის აყვავებას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში'' დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო კასრაძემ აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროსთან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ტრადიციულად ყოველდღიური თანამშრომლობა აკავშირებს, უპირველს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, განაცხადა მან, რომ ქვყანაში მოქმედი საგანმანათლებლო სისტემის ყველა დოკუმენტის განხილვა და განსაკუთრებით ცვლილებების მომზადების პროცესში. მისი თქმით, კონსერვატორიის ჩართულობა ერთი დღის მანძილზე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ათეულობით გასაანალიზებელი დოკუმენტი, ასევე შედის ისეთი კორესპონდენციები, სადაც კონსერვატორიას სთხოვენ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. შესაბამისად, ერთი სასწავლო წლის მანძილზე გროვდება ათასი საერთო და ერთობლივად განხილული დოკუმენტი, სადაც კონსერვატორიის პოზიცია არის უდაოდ გათვალისწინებული და არც ერთი გადაწყვეტილება ან ცვლილება, რაც კვეთაშია ფორმალური განთლების ველში, როგორც ზოგად სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღება დაწესეულების ჩართულობის გარეშე. თავად დაწესებულებაში, ადმინისტრაციის მიერ იგზავნება შესაბამის დეპარტამენტებში რეკომენდაციების მოწოდების მოთხოვნის მიზნით, და შემდეგ უკვე სამინისტროს ეგზავნება შეჯერებული პასუხი. შესაბამისად, ეს ყოველივე დასტურია იმისა, რომ კულტურის სამინისტრო ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობს მათთან. ასევე, გათვალისწინებულია კონსერვატორიის მიდგომები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, კონსერვატორიის აკადემიურ პერსონალი როგორც დარგობრივი ექსპერტები, მუდმივად ჩართულები არიან, კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსებში, ასევე პერსონალი ჩართული იყო სახელოვნებო განათლების რეფორმის სამუშაო ჯგუფებში, სადაც კულტურის სამინისტროსთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც დაარეგულირებს სახელოვნებო საგანმანთლებლო სისტემის საშუალო რგოლში არსებულ უდიდეს პრობლემებს, სადაც, დაგროვილია მთელი რიგი მოუგვარებელი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა უშუალოდ დაწესებულების ჩართულობით, სამინისტროს დახმარებით და მათი ადმინისტრირებით შესაძლებელი გახდა. ასევე, აღნიშნა, რომ სამინისტრო მუდამ აფიქსირებდა უდიდეს ნდობასა და პატივისცემას დარგის ქურუმების მიმართ, რომელიც კონსერვატორიის ღირსებას წარმოადგენდა წლების მანძილზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ბაქრაძემ აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაუჭირდათ პოზიციის დაფიქსირება, ვერც დაეთანხმნენ და ვერც უარყვეს, აღნიშნა რომ პრობლემატიკა ესმით საკითხისა, თუმცა მეტი კონკრეტიკა დაეხმარებოდათ მათ არგუმენტირებული პასუხის ჩამოყალიბებისას პოზიციის დაფიქსირებისა. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას პერსონალური მონაცემთა დაცვის უფროსის ფუნქციას კონსერვატორიაში, აღნიშნა, რომ კადრი ამ კონკრეტულ პოზიციაზე აყვანილია 2024 წლის 5 ივნისიდან, არსებობს დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, რომლიც ფარავს მისი მოვალეობას, შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ არსებობს ნორმატიული საფუძველიც და შესაბამისი კადრიც აყვანილი კონსერვატორიაში, მან თხონით მიმართა საბჭოს, მოეხსნათ 4.1.-ის მეორე რეკომენდაცია, რომელშიც საუბარია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანასთან დაკავშირებით, რადგან დანართებში წარმოდგენილია მტკიცებულება აღნიშნული კადრის დაწესებულებაში არსებობისა.

საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ დააზუსტა, რომ დაწესებულება ითხოვდა რამდენიმე რეკომენდაციის მოხსნას კერძოდ 4.1-ის მეორე რეკომენდაციას, ასევე 1.2-ის რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება, 2.1.-ის პირველ რეკომენდაციას, ასევე 5.2.-ის პირველ და მეორე რეკომენდაციას. ასევე 7.1.-ის მეორე რეკომენდაციას, ასევე 7.3.-ის მეორე რეკომენდაციას. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო კასრაძემ დაამატა, რომ 2.3. რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა თანამშრომლობას კონსერვატორიასა და საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსთან'' არ ეთანხმებოდნენ, ზემოთ მოცემული არგუმენტირებული პასუხის გათვალისწინებით, რადგან მიაჩნიათ რომ სანიმუშო ურთიერთობა არის ამჟამად. დაწესებულების რექტორმა, გიორგი ვაჩნაძემ დაამატა, რომ კულტურის სამინისტრო არის მაკონტროლებელი ორგანო შესაბამისად, ურთიერთობა არ არის ცალმხრივი ინიციატივა, რომელიც შეუძლია დაწესებულებას თავისი ინიციატივით განახორციელოს.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, კიდევ ერთხელ რომ დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციების ნაწილს, კერძოდ ორის პირველს, ოთხის პირველს, ხუთის პირველს და მეორეს, შვიდის მეორეს და შვიდის მესამის პირველ ნაწილს და ორი ერთის მესამეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
საბჭოს წევრებს განსახილველის საკითხის ირგვლივ შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:40 სთ.
დასრულების დრო: 16:50 სთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (ს/კ 203850813) მიენიჭა ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 06 სექტემბერს.

საბოლოოდ რეკომენდაციები განისაზღვრა როგორც:

2.1

- რეკომენდებულია, კონსერვატორიას საკუთარი შიდა აუდიტის პროგრამა ჰქონდეს ყოველწლიურად, რომელიც განიხილავს ძირითადი აქტივობების ეფექტურობას, როგორიცაა ფონდების მოზიდვა, სტუდენტური მომსახურება, წლიური ანგარიშები და ბიუჯეტები.
- რეკომენდებულია კიბერუსაფრთხოების უკეთესი ტრენინგის განხორციელება ყველა პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, რადგან მისი ნაკლებობა ინსტიტუციურ რისკს წარმოადგენს.

2.3

- რეკომენდებულია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა კონსერვატორიასა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის, რათა შეიქმნას პოზიტიური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის აყვავებას თსკ-ში.
- რეკომენდებულია აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტის გასწორება და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა. განახლებული ვერსია მხარს უნდა უჭერდეს აკადემიური თავისუფლების საზოგადოდ აღიარებულ პრინციპებს.

4.1

- ოპერაციული შესაძლებლობების გასაზრდელად და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ექსპერტთა ჯგუფი კონსერვატორიას ურჩევს განიხილოს დასკვნაში მოცემული ქმედებები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტში შეიქმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია.

5.2

- რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერის ძირითად სამსახურებში დაემატოს პერსონალი.
- რეკომენდებულია კონსერვატორიასა და კურსდამთავრებულებს შორის აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა მათ პიროვნულ, პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.

7.2

- რეკომენდებულია გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნების პროცესი - ინგლისურ ენაზე სახელმძღვანელოების შეძენა, ასევე ახალი მასალების ქართულ ენაზე შეძენა და გამოცემა.

7.3

- რეკომენდებულია, რომ განახლდეს და გაუმჯობესდეს (სისწრაფის და მარტივი ნავიგაციის უზრუნველყოფით) თსკ-ს ვებგვერდი.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 06 სექტემბერს 16:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა